სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

35313038148918

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180257939

რეგისტრაციის თარიღი

13.03.2018 წ

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 18
ტელეფონი: 032 2 990506

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

ქალაქი თბილისი, ორი ათას თვრამეტი წლის ცამეტი მარტი. მე, საქართველოს ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. №18, მომმართა **შპს "გემრიელი გაჩერების" (რეგისტრირებული 11.12.2014 წელს, იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მიმდებარედ, ტრამვაის გაუქმებული ხაზის მიმდებარედ (ნაკვეთი № 10/4), საიდენტიფიკაციო კოდი: 405075225) დირექტორმა დავით შველიძემ,** დაბადებულმა 08.01.1960 წელს, პირადი ნომერი: 01003004983, მცხოვრებმა მისამართზე: თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2 მიკრორაიონი, მე-5 კვარტალი, კორპუსი № 5, ბინა № 22. მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლის საფუძველზეც უფლებამოსილებას მიანიჭებს **ივანე ჯაფარიძეს,** დაბადებულს 08.02.1957 წელს, პირადი ნომერი: 01007004222 და/ან **ირინე ჯაფარიძეს,** დაბადებულს 12.04.1990 წელს, პირადი ნომერი: 01008046120, **შპს "გემრიელი გაჩერების"** საქმეების წარმოებაზე. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მჭირია. უფლებამოსილება დავადგინე ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B17101415. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე მიმნდობს და განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა იგი და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად, ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას თვრამეტი წლის ცამეტ მარტს მე, **შპს "გემრიელი გაჩერების" დირექტორი დავით შველიძე,** შემდგომში "მიმნდობი" (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ **ივანე ჯაფარიძეს და/ან ირინე ჯაფარიძეს,** შემდგომში "მინდობილს" (მონაცემები მოცემულია ზემოთ), მასზედ, რომ მათ ერთად **ან** ცალ-ცალკე წარმოადგინონ **შპს "გემრიელი გაჩერების"** ინტერესები ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, იუსტიციის სახლში, სჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამეწარმეო რეესტრში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, შემოსავლების სამსახურში, არქივებში, საქართველოს ნებისმიერ სამინისტროსა და მათდამი დაქვემდებარებულ ყველა სტრუქტურაში, საპატრულო პოლიციაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ქალაქ თბილისი მერიაში, შპს "ჯაზტრანსგაზ თბილისში", სს "თელასში', შპს "Georgian Water and Power"-ში, ნებისმიერ სატელეკომუნიკაციო კომპანიაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, ასევე ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში; მიიღონ, წარადგინონ და შეაგროვონ საჭირო დოკუმენტები, ცნობები, ამონაწერები, საჭიროების შემთხვევაში გააფორმონ ხელშეკრულებები, განსაზღვრონ მათი პირობები საკუთარი შეხედულებისამებრ; ასევე აწარმოონ ნებისმიერი საბანკო ოპერაცია (თანხების შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა, ვალუტის კონვერტაცია, ინტერნეტ-ბანკინგი და სხვა) საზოგადოების სახელზე გახსნილი საბანკო ანგარიშებიდან საქართველოს ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, აიღონ ცნობები, ინფორმაციები, ამონაწერები შესრულებული საბანკო ოპერაციების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში გახსნან ახალი ანგარიშები, დახურონ ანგარიშები; ასევე მიიღონ **შპს "გემრიელი გაჩერების"** სახელზე ჩამოსული ნებისმიერი ტვირთი, მოახდინონ მათი განბაჟება, წარმოადგინონ ამასთან დაკავშირებით საზოგადოების ინტერესები გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, პორტალში, ტერმინალში, მოაწერონ ხელი ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის, სახელით, გადაიხადონ გადასახდელები და შეასრულონ ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, მიმნდობის მიერ მის გაუქმებამდე.

მინდობილობა შედგენილია ხუთ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნ.ჯანხოთელის, არქივში, ოთხი კი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B17101415.

გადახდილია სანოტარო საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, 10.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქაროველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 1.80 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, 2,00 ლარი, სულ 13.80 ლარი.

მიმნდობი დავით შველიძე

ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი

საქართველოს ნოტარიუსი NOTARY NARGIZA JANKHOTELI GEORGIA 01029006857